ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №15

17 მაისი 2022 წ. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი- ლევან არველაძე

წევრები- ოთარ გრიგოლია, ლევან დავითაშვილი, ლევან ჟორჟოლიანი, გურამი ოქროპირიძე, საბა ბუაძე, დავით ფარცვანია, აკაკი ალადაშვილი.

სხდომა თავმჯდომარეობდა ლევან არველაძე.

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი- გაიოზ თალაკვაძე.

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა.

სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.
(საკრ.№15-032213348-03; 11-0122133924 13.05.2022წ)
(საკრ.№15-032213151-03; 11-01221311057 11.05.2022წ)
(საკრ.№15-0322136142-03; 11-01221363501 16.05.2022წ)
(საკრ.№15-032213660-03; 11-01221361966 16.05.2022წ)
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების შესახებ- ინფორმაცია (12-032211993-03 02.05.2022წ)

დღის წესრიგი დამტკიცდა.
მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.
საკითხი წარმოადგინა ლევან მიქავამ. მისი მოხსენებით „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის“ პროგრამის (კოდი 07 01 02) მეორე კვარტლის გეგმა იზრდება 4 000 000 ლარით, ვინაიდან გაიზარდა აღსაზრდელთა სწრებადობა და კომუნალური ხარჯი, ასევე მეორე კვარტალში დაგეგმილია ახლად აშენებული ბაგა-ბაღების გასახსნელად საჭირო ღონისძიებები. თნხის გადმოტანა ხდება მეოთხე კვარტლიდან.
აქტიურად მიმდინარეობს უსახლკაროთათვის ბინების შეძენა, რისთვისაც პროგრამაში „უსახლკარო ოჯახებისთვის საცხოვრებელი ფართის შეძენა“ (პროგ.კოდი 06 02 12) მეორე კვარტალში ემატებათ 1 250 000 ლარი.

ნაძლადევის რაიონის „გზების მოვლა შეკეთების“ პროგრამაში (პროგ.კოდი: 01 01 09) მეორე კვარტალში ემატება 370 000 ლარი, უკვე დასრულებული სამუშაოების დასაფინანსებლად.წერილობით მოთხოვნაში აღნიშნავენ, რომ წარმოდგენილია მიღება-ჩაბარების აქტები შესრულებული სამუშოების შესახებ.
ჩუღურეთის რაიონის „ბინათმესკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის „ პროგრამის მეორე კვარტალში ხდება მუხლობრივი ცვლილება, იზრდება „მიმდინარე ტრანსფერი რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“- 350 000 ლარით და მცირდება „კაპიტალური ტრანსფერი“- 350 000 ლარით. გამგეობა წერილობით მოთხოვნაში აღნიშნავს, რომ არ შედგა მაზნიაშვილის ქ.37-ში მდებარე სახლის კაპიტალური გამაგრების სამუშაოები.
ადრე სრულდება ავარიული შენობების გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები ისნის რაიონში, რის გამოც „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამაში იზრდება „კაპიტალური ტრანსფერი რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“- 200 000 ლარით.
დიდუბის რაიონის გამგეობა წერილობით მოთხოვნაში აღნიშნავს, რომ რამოდენიმე მისამართზე დაზიანებების გამო საჭირო გახდა გზის აღდგენა-შეკეთება, ქვეითთა გადასასვლელების დახაზვა და შშმ პირთა პანდუსების მოწყობა. გამომდინარე აქედან გამგეობა ითხოვს „გზების მოვლა-შეკეთების „ პროგრამაში მეორე კვარტლის გეგმის გაზრდას 200 000 ლარით, რის დაბალანსებაც ხდება რაიონის „კეთილმოწყობის ღონისძიებების“, შესაბამისად შემცირებით. პროგრამით გათვალისწინებული იყო მეორე კვარტალში 3 ეკლესიის დაფინანსება, მაგრამ დაფინანსდა მხოლოდ 1 ეკლესია.
ლევან მიქავამ დაწვრილებით ისაუბრა საფინანსო საქალაქო სამსახუროს მიერ წარმოდგენილი სხვა კვარტალური ცვლილებების შესახებ.
საკითხი დადგა კენჭსიყრაზე

მომხრე-8

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობები, ასევე სსიპ ქონების მართვის სააგენტო და ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას , ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების შესახებ.
ინფორმაცია კომისიის წევრებს მიაწოდა გაიოზ თალაკვაძემ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტალის შესრულების მიმოხილვა მომზადებულია მერიის სტრუქტურული ერთეულებიდან, რაიონის გამგეობებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან. ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერის,

სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

2022 წლის 3 თვეში ნაშთის ცვლილების სახით ბიუჯეტში ასახულ იქნა 51,765.0 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების გამოყენებამ შეადგინა 20,517.9 ათასი ლარი.

თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 3 თვის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 284,993.2 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 244,846.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის 85.9%.

I შემოსავლები

შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 3 თვის გეგმა 266,243.2 ათასი ლარი, ფაქტიურად 235,721.5 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 88.5% და მთლიანი - შემოსულობების 96.3% შეადგინა.

I გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 138,798.9 ათასი ლარი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 111,036.1 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 27,762.8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადათ დამატებული ღირებულების გადასახადზე მოდის, მათ შორის:

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 132,399.5 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 106,999.6 ათასი ლარი) შედარებით 25,399.9 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 6,399.3 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 4,352.8 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 357.7 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან - 1,688.8 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 4,036.5 ათასი ლარი) შედარებით 2,362.8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის (2021 წლის 3 თვის ფაქტი - 1,835.3 ათასი ლარი)

II გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 44,101.9 ათასი ლარი, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 64 ლარი, ხოლო სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები - 44,101.8 ათასი ლარი, კერძოდ: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 126.3 ათასი ლარი (გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის), სპეციალური ტრანსფერი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი) – 43,874.1 ათასი ლარი (თბილისის მასშტაბით არსებულ ქუჩებზე გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები, რკ/ბეტონის და გაბიონის საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები, წყალსადენის, სანიაღვრე/სადრენაჟე და საკანალიზაციო ქსელის მოწყობის და აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები; ვაკის პარკის რეაბილიტაციის და ზღვის უბნის (დენდროლოგიური) პარკის მოწყობის სამუშაოები; ბაგა-ბაღების და სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების, ისტორიული სადარბაზოების და მუზეუმების რეაბილიტაციის სამუშაოები, პროექტ „ახალი

ტფილისის" ფარგლებში გრძელდება ლადო გუდიაშვილის მოედანზე არსებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები), ხოლო სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 101.4 ათასი ლარი („საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის" განხორციელების პროცესში კონსულტანტთა შრომის ანაზღაურების, საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების, მიმდინარე პროექტების აუდიტორული შემოწმების და კონტრაქტორებისთვის შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების მიზნით, ადგილობრივი გადასახადების დასაფინანსებლად (მათ შორის საპენსიო შენატანი).

III სხვა შემოსავლები

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 48,990.6 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 52,820.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 107.8%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 29,577.2 ათასი ლარი) შედარებით 23,243.5 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 2,368.2 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (1,697.4 ათასი ლარი) შედარებით 670.8 ათასი ლარით მეტია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულია 67.1 ათასი ლარი, მათ შორის: 65.4 ათასი ლარი ასახულია ვალუტა და დეპოზიტების სახით (მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სესხის უზრუნველყოფის მიზნით წინა წლებში დეპოზიტზე განთავსებული თანხის დაბრუნება), ხოლო სხვა დებიტორული დავალიანების სახით - 1.7 ათასი ლარი.

ვალდებულებების ზრდის სახით საანგარიშო პერიოდში ასახულ იქნა - 4.7 ათასი ლარი (შემოსულობა საშინაო - სხვა კრედიტორული დავალიანებების და საგარეო - აქციები და სხვა კაპიტალის სახაზინო კოდებზე ჩარიცხული თანხები, რომელიც არ წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვალდებულების ზრდას).

2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 336,758.2 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 265,364.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 79%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 258,742.3 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 225,389.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 87%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 84.9%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 68,693.2 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 32,847.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 48%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 12.4%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 9,322.6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 7,127.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 76%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 2.7%-ია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 70,375.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (79,679.5 ათასი ლარი) 88%-ია; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 34,540.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (43,642.1 ათასი ლარი) 79%-ია;

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 33,755.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (43,499.0 ათასი ლარი) 78%-ია; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 276.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (463.3 ათასი ლარი) 60%-ია; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 3,391.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (3,529.6 ათასი ლარი) 96%-ია; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 40,785.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (47,927.7 ათასი ლარი) 85%-ია; განათლება - 46,904.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (61,072.7 ათასი ლარი) 77%-ია; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 6,569.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (16,174.4 ათასი ლარი) 41%-ია; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 781.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (1,836.4 ათასი ლარი) 43%-ია; წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 27,985.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (38,933.6 ათასი ლარი) 72%-ია.

ბიუჯეტის 3 თვის შესრულების განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

კომისიის წევრების შეკითხვებზე დაწვრილებით განმარტა გაიოზ თალაკვაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ცნობად მიიღეს ინფორმაცია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების შესახებ".

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი- ლევან არველაძე